შპს ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაკშენ

ვაჟა-ფშაველას გამზირი №16, II სართული,
ტელ/ფაქსი +995 32 237 10 09

ს/კ 404870724

GEORGIAN CONTEMPORAY CONSTRUCTION LTD.

Vazha-Pshavela Ave. #16, II Floor,
Tel/Fax +995 32 237 10 09

I/C 404870724

12.09.2018 წ.

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, გაბრიელ სალოსის VI შესახვევი #1-ში (ს.კ. 01.17.11.026.032) მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მოსაზღვრე მიწის ნაკვეთებზე, არსებული შენობა-ნაგებობების ურთიერთგავლენასთან დაკავშირებით.

მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობა მდებარეობს ქ. თბილისში, გაბრიელ სალოსის VI შესახვევი #1-ში. მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი არის 8-სართულიანი.

შენობის გეგმარებითი პარამეტრები: შენობის გეგმაში მართკუთხა ფორმისაა, მაქსიმალური ღერძული ზომებია: 23.00 X 16.75 მ. შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია, როგორც კარკასულ-კავშირებიანი მონოლითური რკინაბეტონის სისტემა. შენობის სართულის მაქსიმალური სიმაღლე, H=3.3 მ; შენობის მაქსიმალური მალი ღერძებში აღწევს L=6.0მ;

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მიხედვით დადგენილია, რომ სამშენებლო მოედანი განლაგებულია **8 ბალიანი** სეისმური საშიშროების ზონაში MSK64 სკალის მიხედვით **(A=0.17);** გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით - **II**;

სამშენებლო მოედანზე ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს - **60 კგძ/მ²** (15 წლიანი განმეორებადობის პერიოდით), ხოლო თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა - **50 კგძ/მ².**

სამშენებლო ტერიტორიაზე (ს.კ. 01.17.11.026.032) იგეგმება არსებული შენობა ნაგებობების დემონტაჟი და ახალი შენობის მშენებლობა.

ახალი შენობის დაფუძნება გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ტუმბო-ხიმინჯოვანი საძირკვლით რომლებიც შეკრულია როსტვერკის მეშვეობით, ხიმინჯები ჩაანკერებულია ძირითად-კლდოვან ქანში (სგე-3 თხელ და საუალოშრეებრივი ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობა) ჩაღრმავების სიდიდე არანაკლებ 1მ-სა.

საპროექტო შენობას არცერთი მიმართულებით არ ესაზღვრება არსებული შენობები. უახლოესი შონობა დაცილებულია დაახლოებით 35მ-ში, აღმოსავლეთით მდებარე სატრანსფორმატორო ჯიხური (ს.კ. 01.17.11.026.045). რომელიც ნაკვეთზე მდებარე სადემონტაჟო შენობასთან დაშორებულია დაახლოებით 5-6მ-ის მანძილზე.

გავლენის შეფასება განხორციელდა ტექნიკური რეგლამენტი - ,,შენობების და ნაგებობების ფუძეები" შესაბამისად, კერძოდ მუხლი 10-ის მიხედვით.


ამონარიდი ტექნიკური რეგლამენტიდან:

5. საძირკვლის ჩაღრმავება, არსებული ნაგებობის საძირკველთან თანაბარი დატვირთვების დროს უნდა შესრულდეს ერთ დონეზე. მნიშვნელოვნად ჭარბი დატვირთვისას, ასაგები საძირკვლის ჩაღრმავება არსებულიდან იქნება

$$\Delta h \leq a \operatorname{tg} \psi , \qquad (4)$$


სადაც ,
$$\operatorname{tg} \psi = \operatorname{tg} \varphi_1 + \frac{C_1}{p}$$

a - მანძილი საძირკვლებს შორის (მ). აქ φ_1 და C_1 საანგარიშო მნიშვნელობებია შიგა ხახუნის კუთხისა და კუთრი შეჭიდულობის, ხოლო p საშუალო წნევაა ზემოთ განლაგებული საძირკვლის ძირზე.



ნახ. 1. ჩაღრმავება არსებულ საძირკველთან
(1. არსებული საძირკველი; 2. ასაგები საძირკველი)

არსებული მდგომარეობის მიხედვით აგებული გავლენის ხაზის ნახაზი:



დასკვნა:

გამომდინარე შენობის დაფუძნების პირობებიდან და მოსაზღვრე შენობა-ნაგებობების მდებარეობიდან საპროექტო შენობასთან მიმართებაში, ასევე პროექტით გათვალისწინებული ღონისძებების სრულფასოვნად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ასაშენებელი შენობა საფრთხეს არ შეუქმნის მოსაზღვრე შენობა-ნაგებობებს, როგორც ნორმირებული მშენებლობის პროცესში, ასევე შემდგომი ნორმალური ექსპლუატაციის პირობებშიც. დამატებითი კონსტრუქციული ღონისძიებების ჩატარება, შენობის დაფუძნების პირობებიდან გამომდინარე საჭირო არ არის.

ასევე აღსანიშნავია, რომ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 01.17.11.026.032) მდებარე შენობა ნაგებობის დემონტაჟისას გათვალისწინებული უნდა იყოს მშენებლობის ორგანიზების პროექტით განსაზღვრული ღონისძიებები, მათი მკაცრი დაცვის პირობებში მოსაზღვრე შენობა-ნაგებობას დემონტაჟის პროცესში კონსტრუქციული ხასიათის საფრთხე არ შეექმნება.

შპს ,,ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაქშენ“-ის
მთ. კონსტრუქტორი/მმართველი პარტნიორი:

დავით გიგინეიშვილი
ინჟინერ კონსტრუქტორი - მშენებლობის მაგისტრი